საქართველოს მთავრობის

დადგენილება №424

2017 წლის 7 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებაში (სსმ, 154, 25/11/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების №3 დანართის:

1. პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ცხელი ხაზების ნუმერაცია:

ორგანოების დასახელება	მოკლე ნომრები
საქართველოს პარლამენტი	141
საქართველოს მთავრობა	151
საქართველოს სამინისტროები	1400-1409, 1500-1509
საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ერთიანი საინფორმაციო სამსახური	144
აჭარისა და აფხაზეთის (დროებით ქ. თბილისში) ა/რ უმაღლესი საბჭოები	142
აჭარისა და აფხაზეთის (დროებით ქ. თბილისში) ა/რ მთავრობები	143
აჭარისა და აფხაზეთის (დროებით ქ. თბილისში) ა/რ სამინისტროები	1450-1459
სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციები	146
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	1471
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	1472

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იუსტიციის სახლები	1474
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ – საფინანსო-ანალიტიკური სამსახური	1551
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ – შემოსავლების სამსახური	1555, (1552-1554, 1556-1559 გაფორმების ეკონომიკური ზონები)
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	1481
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი	1499
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – აწარმოე საქართველოში	1525
საქართველოს მთავრობის რეზერვი	1480, 1482-1489, 1490-1498, 1520-1524, 1526-1529, 154, 156-159.“.

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**